ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზაალ მამალაძეს
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის
მინდია ჟღერიას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ".

2025 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლმენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" რომელიც არეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს (პატრონიანი, უპატრონო, მიკედლებული), აწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, გადაადგილებისათვის დასაშვებ ნორმებს, მეპატრონეთა და მიმკედლებელთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე, არეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვის, ევთანაზიის, გამრავლებისა და რეალიზაციის პირობებს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება შინაური ცხოველების ყოლის წესების (მათ შორის, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობისა და ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების) დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მართვის (მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაციის/კასტრაციის, მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების) უზრუნველყოფა.

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმადაც მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი კანონთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველის თანაარსებობა უსაფრთხო და საიმედო გარემოში. აღნიშნულის მისაღწევად, აუცილებელია გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - შინაური ბინადარი ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. დადგენილების პროექტის მიღება მიზნად ისახავს შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას. ასევე, დადგენილების პროექტით განისაზღვრება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო -

არასამერწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ჩოხატაურის სერვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველო კანონით მუნიციპალიტეტებისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 თებერვლის N92 დადგენილებით დამტკიცდა „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესი (პროგრამა)“, რომელიც წარმოადგენს 2027-2028 წლების სახელმწიფო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ძაღლების მიკვლევადობას და ცოფის პრევენციას, ძაღლების პოპულაციის მართვის ღონისძიებების განხორციელებით. პროგრამა მოიცავს ჰუმანური მეთოდებით ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვაში პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის ღონისძიებებს 2027-2028 წლებში და ითვალისწინებს კარდაკარ პრონციპით:

ა) უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, ანტირაბიულ ვაქცინაციას, სტერილიზაციას/კასტრაციას, საჭიროების შემთხვევაში, ლეიშმანიოზზე და ჭირზე ტესტირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ ღონისძიებებს;

ბ) პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას და ძუ ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას და სტერილიზაციას.

3. პროგრამის მიზანია:

ა) ცხოველებში ჰიპერპოპულაციის მართვა, დაავადების გადაცემის პრევენცია, ასევე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაცია.

პროგრამას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და მუნიციპალიტეტები.

2027 წლის პროგრამით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობაა 1325, პატრონიანი ძუ ძაღლების სტერილიზაციის სავარაუდო რაოდენობაა 177. გურიაში უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა 2500.

2028 წლის პროგრამით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობაა 530, პატრონიანი ძუ ძაღლების სტერილიზაციის სავარაუდო რაოდენობაა 177. გურიაში უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა 2560.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2027 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ამოქმედდება 2026 წლის 1 ივლისიდან.

დადგენილების პროექტის მიღება ამ ეტაპზე არ იწვევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებას.

დადგენილების პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი, ხოლო პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეუნეობის განვითარების განყოფილების უფროსი ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია